საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან კოკორაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	17	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	20	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	77	100

სახელი, გვარი: თ.

თარიღი : 09.07.2021.

თამარ ღვამიჩავა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ლევან კოკორაშვილის შეფასება.**

2021 წლის 29 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის №1/138 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა მოერე შესარჩევი კონკურსი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

გავეცანი კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც გასაცნობად წარედგინა საბჭოს თვითოეულ წევრს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ლევან კოკორაშვილის** საჯარო მოსმენა გაიმართა **2021 წლის 29 ივნისს.**

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ლევან კოკორაშვილს** არ გააჩნია სამოსამართლო გამოცდილება, მისი შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით - სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი უნდა შეფასედეს, ამავე კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით. კეთილსინდისიერების კრიტერიუმთან მიმართებით, კანდიდატის შეფასება უნდა განხორციელდეს 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტის მახასიათებლების მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატები უნდა შეფასდნენ ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 მახასიათებლის მიხედვით და მათთვის ქულების მინიჭება უნდა განხორციელდეს ამავე მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით, თითოეული ქულის დასაბუთებულობის საფუძველზე.

- **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ.**

კანდიდატი გახლავთ 48 წლის. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მაგისტრთან გათანაბრებული (თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტი)
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 19 წელი
2001-2019 წლებში ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირი (გამგეობის თავმჯდომარე.

რეკომენდატორი გამოთქვამს მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევს კანდიდატის - მიუკერძოებლობას, კეთილსინდისიერებას, ობიექტურობას, სამართლიანობას, კომპეტენტურობას, თავშეკავებულობას და ა.შ. რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებში უთითებს, რომ იგი

სენტიმენტალური და მგრძნობიარე, ფაქიზი ხასიათის ადამიანია, თუმცა მისივე განმარტებით, ამ თვისებებს სისუსტედ არ თვლის.

გამოკითხული რესპოდენტებიდან: კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას ყველა იცნობს - კარგად. ყველა რესპოდენტის აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით ყველა რესპოდენტი კანდიდატს აფასებს - ძალიან კარგად.

კანდიდატ ლევან კოკორაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ ღონისძიებებში:
2002-2003 წლებში საქართველოს იურისტთა ასოციაციასთან ერთად მონაწილეობდა საზოგადოებაში სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებისა და დამკვიდრების მიმართულებით რამოდენიმე პროექტში, რის საფუძველზეც გააკეთა საკუთარი ანალიზი სტატისტიკური მიმართულებით და დაწერა სამეცნიერო დასკვნა, რომელიც ასოციაციის მიერ მოწონებული, დამტკიცებული და გამოქვეყნებულია.

2003-2004 წლებში ახორციელებდა პედაგოგიურ საქმიანობას გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ახაშენის საჯარო სკოლის სხვადასხვა კლასებში - ასწავლიდა სამართლის თეორიას და საფუძვლებს; ბავშვთა უფლებებს. სხვადასხვა საჯარო სკოლებში ატარებდა სემინარებს სახელმწიფო სამართლის, საზოგადოებაში კანონისა და თვითშეგნების პატივისცემისა და დამკვიდრების მიმართულებით.

კანდიდატს არ აქვს ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.

კანდიდატ ლევან კოკორაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება.
არ აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს საკუთრების უფლებით არ ერიცხება უძრავ-მოძრავი ქონება.
მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში ლევან კოკორაშვილთან დაკავშირებით არსებობს 3 სარეგისტრაციო ჩანაწერი:

- ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირის დირექტორი;
- საქველმოქმედო ფონდი პატრიარქი პატრიარქთა შორის დირექტორი;
- ინდ. მეწარმე.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ლევან კოკორაშვილს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი არ უფიქსირდება
ლევან კოკორაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა.

კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა შემდეგ საქმეებში:
სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 მაისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე).

სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა);
სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე);
ადმინისტრაციულ საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა);
სამოქალაქო საქმეში მოპასუხედ - დავის საგანი: ვალდებულების შესრულება, თანხის დაკისრება (გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს სამართალწარმოება);
სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა);
სამოქალაქო საქმეში მოპასუხედ - დავის საგანი: თანხის დაკისრება (ყვარლის მაგისტრატი სასამართლოს 2019 წლის 11 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა);
სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა).
- კანდიდატი დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.
- ლევან კოკორაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.
-კანდიდატმა წარმოადგინა სამართლებრივი დოკუმენტები: მის მიერ შედგენილი შუამდგომლობა („უკანონო პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ“);
- ასევე წარმოადგინა მიერ შედგენილი საჩივარი („ახმეტის სასამართლოს 2003 წლის 4 დეკემბრის ბრძანებაზე“).-

-კანდიდატის ინფორმაციით, 2014-2015 წლებში მას მიენიჭა წარმატებული ქველმოქმედის ჯილდო.
- კანდიდატის მიერ წარმოდგენილ განაცხადში კანდიდატი უთითებს : ,,2012 წლის 25 ივლისს დაპატიმრებულ ვიქენი გლდანი ნაძალადევის პროკურატურის მიერ ხოლო 2013 წლის 15 აპრილის, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ხათუნა ხარჩილავამ სასამართლო დარბაზიდან დაუყოვნებლივგამანთავისუფლა გამამართლებელი განაჩენით რომლითაც სრულიად უდანაშაულოდ მცნო და ეს განაჩენი შემდგომში სრულად დარჩა ძალაში უცვლელად სააპელაციო და საკასაციო პალატების მიერ“; „ბრალდებაში ვარ სრულად გამართლებული 2013 წლის 15 აპრილის თბ.საქ სასამართლოს მოსამართლის ხ.ხარჩილავას განაჩენით“; „უკანონო პატიმრობიდან გამამართლებელი განაჩენის საფუძველზე მივმართე თბ.საქ.სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით და მთავარ პროკურატურას მოვთხოვე მორალური და მატერიალური ზარალის კომპენსაცია რაც სასამართლოს მიერ იქნა გაზიარებული ჩემი მოთხოვნა და მთავარ პროკურატურას დაეკისრა ჩემს სასარგებლოდ ზარალის კომპენსაცია“.

- საქართველოს შს სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის 2020 წლის 5 დეკემბრის ინფორმაციით ლევან კოკორაშვილი „მიმდინარე წლის მდგომარეობით არ არის ნასამართლევი, მაგრამ დეპარტამენტის ერთიან საინფორმაციო ბანკში ფიქსირდება ინფორმაცია აღნიშნული პირის მიმართ წარსულში სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მე-2 ნაწილითა და 369-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით).

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, რომ იგი ფინანსურ და სხვა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები (მოძრაობის წესების დარღვევების თაობაზე) არ უფიქსირდება. იგი გამოირჩევა კორექტულობით, თავდაჭერილობით, კეთილსინდისიერებით ასევე, საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

- **კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.**

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია - **სამართლის ნორმების ცოდნა.**

კანდიდატის მიერ საჯარო მოსმენის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხები მეტნაკლებად იყო თანმიმდევრული, და ეფუძნებოდა მეტნაკლებად სწორ სამართლებრივ შეფასებებს. თუმცა, აღსანიშნია, რომ დაშვებული იყო შეცდომები და ხარვეზები.

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და ასევე მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, ზემოთ აღნიშნული ხარვეზების და შეცდომების გათვალისწინებით, კანდიდატი, მეტნაკლებად, იცნობს კანონმდებლობას, მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს, შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული **სამართლის ნორმების ცოდნის** მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **17 ქულით.**

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა მეტნაკლებად უპასუხა ცალკეულ სამართლებრივ შეკითხვებს, მაგრამ ნათლად ვერ გამოხატა საკუთარი დასაბუთებული პოზიცია. მისი პასუხები ძირითადად იყო ზოგადი ხასიათის. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტით განსაზღვრული **სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **17 ქულით.**

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ ის აზრს გასაგებად და ნათლად გადმოსცემს, გააჩნია ლოგიკური მსჯელობის უნარი.
საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის უნარი, ის გამართულად მეტყველებს, მეტნაკლებად ახდენს კონცენტრაციას მნიშვნელოვან საკითხებზე. შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა. შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტით განსაზღვრულიგანსაზღვრული **წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **20 ქულით.**

კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, პრინციპული, მედეგი. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის კორექტული და თავდაჭერილი. შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის -**პროფესიული თვისებები,** შეფასდა **15 ქულით.**

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნის შეძენის ინტერესი და უნარი. მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატი საქართველოს იურისტთა ასოციაციასთან ერთად მონაწილეობდა საზოგადოებაში სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებისა და დამკვიდრების მიმართულებით რამოდენიმე პროექტში.
შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტით განსაზრვრული **აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **4 ქულით.**

უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ახორციელებდა პედაგოგიურ საქმიანობას გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ახაშენის საჯარო სკოლაში. აქედან გამომდინარე იგი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტით განსაზღვრული **პროფესიული აქტივობის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **4 ქულით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ლევან კოკორაშვილის** კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს **77 ქულას.**

1. სამართლის ნორმების ცოდნა - **17 ქულა**
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია **-17 ქულა**
3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი **-20 ქულა**
4. პროფესიული თვისებები, **15 ქულა**
5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - **4 ქულა**
6. პროფესიული აქტივობა - **4 ქულა**

ქულათა ჯამი 77 ქულა

თარიღი: 09. 07. 2021.

ხელმოწერა: